ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №48

16.08.2019 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

13:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე), გიორგი ტყემალაძე, ლევან ჯაფარიძე, თარაშ შურღაია, გიორგი დოხტურიშვილი, ლევან ხაბეიშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს წევრები:

1. **რევაზ სოხაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. **ბექა დავითულიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. **თევდორე ისაკაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. **ირაკლი ზარქუა** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. **ვახტანგ შაქარიშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
6. **მარიკა დარჩია** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. **გიორგი ებანოიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი.

სხდომის გახსნამდე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა და ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ ბ-ნმა რევაზ სოხაძემ დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და აცნობა, რომ მიმდინარე სხდომა წარიმართება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის სრული დაცვით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების მუხლი 30) გარემოს დაცვის, ასევე, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების ერთობლივი სხდომის ფორმატში.

ბ-ნი რევაზ სოხაძის სიტყვით გამოსვლის შემდეგ, გარემოს დაცვის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა: ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2019 წლის 8 აგვისტოს №12-031922082-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი/

2. **მიმდინარე საკითხები:**

2.1 „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2019 წლის 15 აგვისტოს №12-031922738-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი/

2.2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2019 წლის 15 აგვისტოს №12-031922739-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი/

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი ერეკლე კუხიანიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2019 წლის 8 აგვისტოს №12-031922082-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის პირველი საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა გ. ებანოიძემ.

მომხსენებლის (გ. ებანოიძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილებების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 31 ივლისის №19.814.1082 განკარგულებით და დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის), ასევე, განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 4 განაცხადი - №01191922350-67; №10/01191903360-67; №01191233908-67; №17-0119207143-67).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „1“ პუნქტი) - **№01191922350-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, მუხათგვერდის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.72.12.004.525, 01.72.12.004.523; საერთო ფართობი: 9 650 კვ.მ.) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. საპროექტო მიწის ნაკვეთებზე „ქალაქ თბილისში, მუხათგვერდის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.72.12.004.523, №01.72.12.004.525, საპროექტო ტერიტორიის ფართობი: 9650 კვ.მ.) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 ივნისის №190 განკარგულებით შეთანხმებულია განაშენიანების რეგულირების გეგმა სასაწყობე და საოფისე განაშენიანებაზე. შესაბამისად, წარმოდგენილ საკადასტრო მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.72.12.004.523, №01.72.12.004.525, საერთო ფართობი: 9650 კვ.მ.) სასოფლო-სამეურნეო ზონის და სატყეო ზონის სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება მიზანშეწონილია.

- განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „2“ პუნქტი) - **№10/01191903360-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილზე, კოსმონავტების სკვერის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.21.003.134) ნაწილზე და მის მიმდებარედ (საერთო ფართობი: 779 კვ.მ.) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის ცვლილება. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №01.19.21.003.134) წარმოადგენს ერთიან საკადასტრო საზღვარს, რომლის ნაწილსაც ცენტრალური მაგისტრალის გასწვრივ ფარავს გენერალური გეგმით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1). აუქციონის წესით გასხვისებულ ქონებაზე დაგეგმილია მსხვილი საინვესტიციო პროექტის განხორციელება, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია მაგისტრალთან შეუფერხებელი მისაწვდომობა და სრულფასოვანი საპროექტო სამუშაოების დაგეგმვა. გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონის ძირითადი არეალი რეალურად წარმოადგენს ტროტუარს, სადაც გენერალური გეგმის ძირითადი ზონირებით ვრცელდება სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) და მცირედზე საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2).

- განმარტებითი ბარათის „გ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „3“ პუნქტი) - **№01191233908-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, თაბუკაშვილის (ყოფ.ძნელაძე) ქ. №38ა-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.04.016.005) ნაწილზე (ცვლილების ფართობი: 80 კვ.მ.) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება. დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) არსებობა წარმოადგენს მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თანდართული რუკის ხარვეზს. რეალურად, სატრანსპორტო ზონა გადასულია (შეჭრილია) საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობაზე. შესაბამისად, ფუნქციური ზონის ცვლილებით გასწორდება ხარვეზი და შესაბამისობაში მოვა ფაქტობრივ (რეალურ) მდგომარეობასთან.

- განმარტებითი ბარათის „დ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „4“ პუნქტი) - **№17-0119207143-67 განაცხადის საფუძველზე,** ქალაქ თბილისში, ზურაბ საკანდელიძის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.08.001.588, ფართობი: 830 კვ.მ.) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ინიციატივით ხორციელდება საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) სატყეო ზონით (სატყზ) ცვლილება. აღნიშნული მიწის ნაკვეთი რთული რელიეფისაა. ორთოფოტოს მიხედვით, №01.14.08.001.588 საკადასტრო მიწის ნაკვეთი წარმოადგენს გამწვანებულ ტერიტორიას და მისი ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეუწონელი სამშენებლო განვითარების თავიდან აცილების მიზნით, ფუნქციური ზონის ცვლილებით მოხდება მისი, როგორც გამწვანებული ტერიტორიის შენარჩუნება. ასევე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო თანახმაა მიწის ნაკვეთზე განხორციელდეს ფუნქციური ზონის ცვლილება, რასაც აფიქსირებს 2019 წლის 26 ივლისის №17-0119207143-67 წერილით.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხებთან (განაცხადებთან) დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 1

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

დადებითად შეფასდეს და მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2019 წლის 8 აგვისტოს **№12-031922082-03 წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 4 განაცხადი - №01191922350-67; №10/01191903360-67; №01191233908-67; №17-0119207143-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

მოისმინეს დღის წესრიგის მეორე (მიმდინარე) საკითხები:

2.1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2019 წლის 15 აგვისტოს №12-031922738-03 წერილი)

საკითხის განხილვამდე აღინიშნა, რომ 2019 წლის 23 ივლისის კომისიის სხდომაზე (ოქმი №47) მიღებული გადაწყვეტილებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 16 ივლისის №19.779.1032 განკარგულების პრეამბულის და სარეზოლუციო (დადგენილებითი) ნაწილის „ე" პუნქტში ფუნქციური ზონის საერთო ფართობის *(99 107 კვ.მ.)* მითითებისას დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორებამდე

გადადებული იქნა **№01191327-67** განაცხადი - ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.006.684; №01.72.14.098.021; №01.72.14.006.586; №01.72.14.006.593; №01.72.14.006.595; №01.72.14.006.596; №01.72.14.006.584; №01.72.14.006.585; საერთო ფართობი 99 107 კვ.მ) განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) სატყეო ზონის (სატყეო) სარეკრეაციო ზონის (რზ) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ -1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3), სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3), საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ით (სსზ-3) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილების შესახებ.

სხდომის დღის წესრიგის მეორე საკითხით გათვალისწინებული პირველი წინადადება წარმოადგინა ბ-ნმა გ. ებანოიძემ.

მომხსენებლის (გ. ებანოიძე) მიერ წარმოდგენილი იქნა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №339-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 16 ივლისის №19.779.1032 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 31 ივლისის №19.823.1061 განკარგულება, რომლის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 16 ივლისის №19.779.1032 განკარგულების პრეამბულის და სარეზოლუციო (დადგენილებითი) ნაწილის „ე“ პუნქტში ფუნქციური ზონის საერთო ფართობის (99 107 კვ.მ.) მითითებისას დაშვებული ტექნიკური შეცდომა გასწორდა და **№01191327-67** განაცხადით მოთხოვნილია ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.006.684; №01.72.14.098.021; №01.72.14.006.586; №01.72.14.006.593; №01.72.14.006.595; №01.72.14.006.596; №01.72.14.006.584; №01.72.14.006.585; *<u>საერთო ფართობი: 112 607 კვ.მ)</u>* განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) სატყეო ზონის (სატყეო) სარეკრეაციო ზონის (რზ) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ -1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3), სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3), საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ით (სსზ-3) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 1

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

დადებითად შეფასდეს და მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2019 წლის 15 აგვისტოს №12-031922738-03 **წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 1 განაცხადი - **№01191327-67**) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

2.2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2019 წლის 15 აგვისტოს №12-031922739-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მეორე საკითხით გათვალისწინებული №12-031922739-03 წერილი წარმოადგინა ბ-ნმა გ. ებანოიძემ.

მომხსენებლის (გ. ებანოიძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის (მომხსენებელი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 7 აგვისტოს №19.850.1110 განკარგულებით და დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ" საინფორმაციო მასალის (პროექტის), ასევე, განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 4 განაცხადი - №01192052837-67; №01191983380-67; №17/0119171111-67; №0119169977-67).

- განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „1" პუნქტი) - **№01192052837-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, ც.დადიანის/გიგო ზაზიშვილის №1/2-ში არსებული მიწის ნაკვეთის

(საკადასტრო კოდი: №01.16.02.040.002) ნაწილზე (ცვლილების ფართობი: 50 კვ.მ.) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება. დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) არსებობა წარმოადგენს მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თანდართული რუკის ხარვეზს. რეალურად, სატრანსპორტო ზონა გადასულია (შეჭრილია) საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, ფუნქციური ზონის ცვლილებით, გასწორდება არსებული ხარვეზი და შესაბამისობაში მოვა რეალურ (ფაქტობრივ) მდგომარეობასთან.

- განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „2“ პუნქტი) - **№01191983380-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, შესახვევი მარტყოფი, №25, მოპირდაპირედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.02.059.142) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება. აღნიშნული ცვლილებით, არსებული საავტომობილო გზა აისახება საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის მიხედვით დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში, რომელიც შეთანხმებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურთან და ქალაქ თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარ სამმართველოსთან. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ინიციატივით, ზონის ცვლილებამ მოიცვა არსებული საავტომობილო გზის ლოკალური კონტურის შეკვრა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, შესახვევი მარტყოფი, №25, მოპირდაპირედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.02.059.142) ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით მისაღებია. ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ინიციატივით ხორციელდება საცხოვრებელი ზონისა და სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება ქალაქ თბილისში, შესახვევი მარტყოფი, №25, მოპირდაპირედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.02.059.142) მიმდებარედ (ცვლილების ფართობი: 420 კვ.მ.).

- განმარტებითი ბარათის „გ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „3“ პუნქტი) - **№17/0119171111-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, მარჯანიშვილის ქუჩა № 9ა-ში (საკადასტრო კოდი: №01.16.05.002.030) ნაწილზე (ცვლილების ფართობი: 38 კვ.მ.) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება. დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) არსებობა წარმოადგენს მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თანდართული რუკის ხარვეზს.

რეალურად, სატრანსპორტო ზონა გადასულია (შეჭრილია) საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობაზე, შესაბამისად, ფუნქციური ზონის ცვლილებით გასწორდება ხარვეზი და შესაბამისობაში მოვა ფაქტობრივ (რეალურ) მდგომარეობასთან.

- განმარტებითი ბარათის „დ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „4“ პუნქტი) – **№0119169977-67 განაცხადის საფუძველზე,** ქალაქ თბილისში, აწყურის ქუჩასა და რკინიგზას შორის არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.17.13.010.086; №01.17.13.010.016) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული გენერალური გეგმის გავრცელებამდე, საპროექტო მიწის ნაკვეთებზე ვრცელდებოდა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), ხოლო დღევანდელი მოცემულობით, დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს და მომიჯნავე ტერიტორიას მთლიანად ფარავს სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). ვინაიდან ტერიტორია საავტომობილო გზით გამოყოფილია საცხოვრებელი დასახლებისგან, მიზანშეწონილია გასწორდეს გენერალური გეგმის თანდართული რუკის ხარვეზი და მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.17.13.010.086; №01.17.13.010.016) გავრცელდეს საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), ხოლო მომიჯნავე ტერიტორიას (საკადასტრო კოდი: №01.17.13.010.006) მიენიჭოს საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3).

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხებთან (განაცხადებთან) დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 1

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

დადებითად შეფასდეს მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2019 წლის 15 აგვისტოს **№12-031922739-03 წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 4 განაცხადი - №01192052837-67; №01191983380-67; №17/0119171111-67; №0119169977-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისიწნებული საკითხების მოსმენის შემდეგ, კომისიის წევრმა, ბ-ნმა ლევან ხაბეიშვილმა ითხოვა სიტყვა თბილისის ზღვაში ჩამდინარე დაბინძურებული წყლის თაობაზე ინფორმაციის მიწოდების მიზნით.

ბ-ნი ლ. ხაბეიშვილის ინფორმაციით, თბილისის ზღვაში ჩაედინება ფეკალიები, რაც არამხოლოდ ეკოლოგიურ კატასტროფას, არამედ ეპიდემიასაც გამოიწვევს, რადგან თბილისის მოსახლეობის ნაწილი მარაგდება აღნიშნული წყალსაცავიდან.

ბ-ნმა ლევან ხაბეიშვილმა ასევე აღნიშნა, რომ ინფორმაცია დილიდან გაავრცელა მასმედიის საშუალებით და მოუწოდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებს, რათა შესაბამისი კომპეტენტური სამსახურების მიერ სასწრაფოდ შემოწმდეს წყლის ხარისხი.

აზრი გამოთქვეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გარემოს დაცვის კომისიის წევრებმა (გ, ტყემელაძე, ბ. დავითულიანი, ერ. კუხიანიძე, რ. სოხაძე, ირ. ზარქუა), რომელთა განმარტებით, საკითხი კონტროლზეა აყვანილი. ადგილზე გასულები არიან შესაბამისი კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლები, რომლებიც ადგილზე ვითარების შესწავლის შემდეგ გააკათებენ განმარტებას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაური" (gwp), რომელიც თბილისს სასმელი წყლით უზრუნველყოფს, ყოველდღიურად (24 საათიან რეჟიმში) ამოწმებს წყლის ხარისხს და კომპანიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, უახლოესი რამდენიმე საათის წინ აღებული წყლის სინჯების მიხედვით, თბილისი მარაგდება უმაღლესი ხარისხის სასმელი წყლით. გარდა ამისა, თბილისის ზღვაზე ნედლი წყლის მოპოვება ხდება ტუმბო-აგრეგატების საშუალებით წყალაღებისთვის განსაზღვრული სანიტარული ზონებით დაცული ტერიტორიებიდან და ნედლი წყალი გადის დამუშავების სრულ ციკლს (დალექვა, ფილტრაცია, წყლის გაუსნებოვნება, ლაბორატორიული ხარისხის კონტროლი).

კომისიის მიერ კომისიის წევრის ბ-ნი ლ. ხაბეიშვილის ინფორმაცია ცნობად იქნა მიღებული.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ერეკლე კუხიანიძე